ხელშეკრულება № 7

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 11 ნოემბერი 2019 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს აჭარის აქტივების მართვის კომპანიის ს.ნ.245399135 (შემდგომში - შემსყიდველი), წარმომადგენილი მისი დირექტორის ნათია პატარაიას სახით და მეორეს მხრივ, შპს კორვეტი ს.ნ.445454749 წარმოდგენილი დირექტორის ბადრი აბულაძის სახით (შემდგომში _ მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს ,,აჭარის აქტივების მართვის კომპანიის“ მიერ 2019 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოთა მართვის (ქვეპროგრამა 0408), 50310000 - საოფისე აპარატურის ტექნიკური მომსახურება და შეკეთება (შემდგომში „საქონელი/მომსახურება“) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1–ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება არის 36 ლარი.

2.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ერთი ერთეულის შევსების ღირებულება არის 12 (თორმეტი) ლარი.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. საქონლის/მომსახურების ხარისხი.

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის/მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 მიწოდებული საქონლის/მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. საქონლის/მომსახურების მიწოდების პირობები

4.1 საქონლის/მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემსყიდველი მოთხოვნიდან გამომდინარე, შემსყიდველის მისამართის მიხედვით, საქონლის/მომსახურების მიწოდება განხორციელდება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 05 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

5. საქონლის/მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი/მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის/მომსახურების მიღება–ჩაბარებას ახორციელებს შპს აჭარის აქტივების მართვის კომპანიის პასუხისმგებელი პირი ნათია პატარაია.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, ასევე მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის

წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მიწოდებული საქონლის/მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის საქონლის/მომსახურების მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია: დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.2. მიმწოდებელს მიერ უხარისხო საქონლის მოწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაეგზავნება წერილობითი გაფრთხილება. 10 კალენდარული დღის განმავლობაში არსებული ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1. პუნქტის შესაბამისად.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის (მათ შორის, მიწოდების ვადების დარღვევისთვის) დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან.

8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი

ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი.
13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
13.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი“
შპს ,,აჭარის აქტივების მართვის კომპანია“	შპს ,,კორვეტი”
ის. ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №46ა	მის. ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზირი 63
ს/კ 245399135	სს ,,საქართველოს ბანკი’’ ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა № GE43BG0000000700449100 ს/კ 445454749
დირექტორი	დირექტორი
ნათია პატარაია	ბადრი აბულაძე

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი და დასახელება	საქონლის/მომსახურების დასახელება	ერთეულის ფასი (ლარი)
1	CPV კოდი 50310000 - საოფისე აპარატურის ტექნიკური მომსახურება და შეკეთება	CANON737 კარტრიჯის შევსება	12

შპს ,,აჭარის აქტივების მართვის კომპანიის“

დირექტორი

ნათია პატარაია

შპს ,,კორვეტი”

დირექტორი

ბადრი აბულაძე

Badri Abuladze

Digitally signed by Badri Abuladze
Date: 2019.11.09 18:02:41 +04'00'

მიღება–ჩაბარების აქტი

ქ. ბათუმი 11 ნოემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ შპს აჭარის აქტივების მართვის კომპანიის დირექტორმა ნათია პატარაიამ და მეორეს მხრივ შპს კორვეტის დირექტორმა ბადრი აბულაძემ, შევადგინეთ წინამდებარე მიღება–ჩაბარების აქტი მასზედ, რომ 2019 წლის 11 ნოემბერს გაფორმებული №07 ხელშეკრულების შესაბამისად, პირველმა მხარემ ჩააბარა, ხოლო მეორე მხარემ ჩაიბარა CANON737 შევსებული კარტრიჯი, საერთო ღირებულებით 24 (ოცდაოთხი) ლარი.

№	CPV კოდი და დასახელება	საქონლის/მომსახურების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	CPV კოდი 50310000 - საოფისე აპარატურის ტექნიკური მომსახურება და შეკეთება	CANON737 კარტრიჯის შევსება	ცალი	2	12	24
	ჯამი					**24 ლარი**

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

„შემსყიდველი"
შპს „აჭარის აქტივების მართვის კომპანია"
ის. ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №46ა
ს/კ 245399135

დირექტორი

ნათია პატარაია

„მიმწოდებელი"
შპს „კორვეტი"
მის. ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზირი 63
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა № GE43BG0000000700449100
ს/კ 445454749
დირექტორი
ბადრი აბულაძე